საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) 44^2 მუხლის:
ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„უკანონო სამედიცინო, საექიმო, საექთნო, მეან-ექთნის საქმიანობა“;

ბ) მე-3 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 ნაწილები:

„3^1. საექთნო საქმიანობა სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობის/სერტიფიკატის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.

3^2. მეან-ექთნის საქმიანობა სახელმწიფო რეგისტრაციის მოწმობის/სერტიფიკატის გარეშე –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

21 თებერვალი 2024 წ.

N4045-XIVმს-Xმპ